განაცხადი და თანმდევი დოკუმენტაციის ნუსხა

განაცხადი;

შენიშვნა: განაცხადის ფორმა აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: საკონტაქტო ტელეფონი და ელ. ფოსტა, შემნახველი საწარმო ტიპი, საწარმოს ტონაჟობა, იურიდიული პირის სტატუსი, პროექტის განხორციელებისთვის შერჩეული მიწის საკადასტრო კოდი). დაუშვებელია აღნიშნული ინფორმაციის არასრული/არაზუსტი მითითება.

- უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- შედარების აქტი ან/და ცნობა შემოსავლების სამსახურიდან დავალიანების შესახებ მომზადებული განაცხადის შემოტანის მომენტისთვის არაუგვიანეს 30 კალენდარული დღით ადრე;
- იურიდიული პირის წესდების ასლი;
- ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების/მეპაიეთა კრების ოქმი „ბენეფიციარის თანადაფინანსების შესახებ" ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების შესახებ, რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: პროექტის ფარგლებში განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა; შესაქმნელი/შესაძენი ძირითადი საშუალებების (მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობა და სხვა)ჩამონათვალი და სააგენტოს სასარგებლოდ იპოთეკა/გირავნობით დატვირთვაზე გადაწყვეტილება; შემნახველი საწარმოს ამოქმედებიდან პროფილის შენარჩუნება არანაკლებ 2 წლის ვადით.
- სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის“ მიერ გაცემული ცნობა შესაქმნელი შემნახველი საწარმოს ტექნიკური პარამეტრებისა და დაგეგმილი კულტურების შენახვის სპეციფიკის ურთიერთშესაბამისობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს მოცულობის/დაგეგმილი კულტურების ერთჯერადად შენახვის ტონაჟობის შესახებ. ცნობას თანდართული უნდა ქონდეს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევით ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია. შესაქმნელი საწარმოს ტექნიკური პარამეტრები:
    - შესანახად განსაზღვრული ნედლეულის დახასიათება (კულტურა, ჯიშები, მოწოდების არეალი, შესაბამისი ნარგაობის ფართობები)
    - შენახვის ტექნოლოგიური სქემის აღწერა (წინასწარი დამუშავება, კონსერვანტების გამოყენება, შენახვის რეჟიმი, ტექნოლოგია (ULO technology, CA storage და ა.შ.)
    - შემნახველი საწარმოს არქიტექტურული პროექტი, რომელიც წარდგენილია შესაბამის მუნიციპალიტეტში სამშენებლო ნებართვის მისაღებად.
    - შეძენისათვის განსაზღვრული აგრეგატების ტექნიკური მონაცემები (სამაცივრე დანადგარები, ვენტილაციის სისტემა, ჰაერის დამატენიანებელი)
    - შენახვისათვის განსაზღვრული ტარა-მასალის აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნულო ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და სსიპ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირების (რომელსაც ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის შედეგად მინიჭებული აქვს სავალდებულო აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება (მათ შორის, თუ

შეზღუდული აქვთ საზოგადოებრივი დაინტერესების პირებისა (სდპ), პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოებისა და პირველი ზომითი კატეგორიის ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება) საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ, დასკვნაში აუცილებელი წესით გამიჯნული ან/და იდენტიფიცირებადი (ცალ-ცალკე) უნდა იყოს სამშენებლო სამუშაოების და დანადგარების/აგრეგატების ღირებულება

- სამშენებლო / სამონტაჟო მომსახურებისა და დანადგარების/აგრეგატების შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება ან/და ინვოისი (რომელიც აუცილებელი წესით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: მხარეთა რეკვიზიტები, მიწოდების ვადა, გადახდის პირობა) შენიშვნა: მიწოდების მაქსიმალური ვადა პროექტის პირობების შესაბამისად შეადგენს 18 თვეს.

- მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან)

- ინფორმაცია შემნახველი მეურნეობის კამერების რაოდენობის შესახებ

- თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა/ამონაწერი ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან/ საფინანსო ინსტიტუტიდან კრედიტის/ლიზინგის/ დამტკიცების თაობაზე ან/და პროექტის დაფინანსების ალტერნატიული/დამატებითი წყაროს არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

- სსიპ „აკრედიტაციის ეროვნულო ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირის ან სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შემნახველი საწარმოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც ადასტურებს წარმოდგენილ დეტალურ ხარჯთაღრიცხვაში მითითებული სამშენებლო მასალების რაოდენობის/მოცულობების შესაბამისობას შესაქმნელი საწარმოს არქიტექტორულ პროექტთან.

- სამშენებლო სამუშაოების ვადაში გაწერილი გეგმა;

- ბენეფიციარის საბანკო რეკვიზიტები;

- სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა წარმოდგენის აუცილებლობასაც განსაზღვრავს სააგენტო.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემთხვევაში დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნას:

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრების არანაკლებ 3/4-ის (თითოეული წევრის) საკუთრებაში ან/და კოოპერატივის საკუთრებაში პაის სახით შეტანილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთ(ებ)ის (სადაც გაშენებულია ბაღი ან მოჰყავთ ბოსტნეული) არსებობის დამადასტურებლად.

- ნოტარიულად დამოწმებული მეპაიეთა კრების ოქმი/გადაწყვეტილება მასზედ, რომ კოოპერატივის წევრებმა მეპაიეებმა/კოოპერატივმა ვალდებულების სრულად შესრულებამდე არ მოახდინონ პაის და კოოპერატივის წევრების ან/და კოოპერატივის საკუთრებაში არსებულ იმ მიწის ნაკვეთების გასხვისება, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნაში იქნება მითითებული.

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მინიჭების შესახებ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა, კოოპერატივის წევრების ან/და კოოპერატივის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მოყვანილი/მოსაყვანი მოსავლის მოცულობის შესაბამისობის შესახებ შესაქმნელი შემნახველი საწარმოს წარმადობასთან/მოცულობასთან. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს საწარმოს მოცულობა და კოოპერატივის/წევრების მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდები. მოყვანილი/მოსაყვანი მოსავლის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ შემნახველი საწარმოს წარმადობა/მოცულობის ½ -ს .

<u>შენიშვნა:</u> დამატებით, თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებამდე პოტენციური ბენეფიციარი ვალდებულია საექსპერტო/საშემფასებლო/აუდიტორული დასკვნის, ნოტარიულად დამოწმებული ინვოისების თარგმანი (უცხო ენოვანი ინვოისების არსებობის შემთხვევაში), დამფუძნებელთა/მეპაიეთა კრების ოქმის და თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი ორიგინალი დოკუმენტი წარმოადგინოს სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საქმისწარმოების სამსახურის ან/და სააგენტოს რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის რეგიონული სამსახურ(ებ)ის მეშვეობით.

შენიშვნა: პროექტის პირობების, განაცხადის და თანმდევი დოკუმენტაციის ნუსხით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში განაცხადი იქნება უარყოფილი